შ.პ.ს. " ბალავერი "



ვამტკიცებ შ.პ.ს. "ბალავერი" დირექტორი

მ.გეგია

სამშენებლო დასკვნა

ქ. თბილისი, მაჭავარიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, ბლოკი 1 და ბლოკი 4, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, ბლოკი 1 და ბლოკი 4, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები;

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. "ფ მ ჯ"-ის მიერ დირექტორი გ.ფირცხალავა, მთ. კონსტრუქტორი ზ. კაციტაძე.

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმედებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 7 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA-SAPR 2011" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და სპექტრული მეთოდით.

ბლოკი 1.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დაპროექტებელი ნაგებობა წარმოადგენს 6 სართულიან შენობას, აქედან პირველი სართული განკუთვნილია ავტოფარეხებისთვის და მოქცეულია მიწის ქვეშ, ხოლო მეორე – კომერციული დანიშნულებისაა და ნაწილობრივ მოქცეულია მიწის ქვეშ.

შენობის სართულშუა გადახურვები და კარკასი შესრულებულია რკინაბეტონით (ბეტონის მარკა **b25,** არმატურის კლასი **A500C**)

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. შენობის საძირკვლის ფუძეთ შერჩეულია არგელიტებისა და ქვიშა-ქვების მონაცვლეობა, რომლის საანგარიშო წინაღობა R_c**=197** კგ/სმ^2, დრეკადობის მოდული – **E=3719.5** მპა

აბსოლიტური ნიშნული **0.000=616.2** მ

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით ტერიტორიის სეისმურობად მიღებულია 7 ბალი.

კარკასის საძირკვლები წერტილოვანია.

შენობის მალებია: 5.8 - 8.0 - 6.4 მ, ბიჯები 8.0, 5.7, 6.5

ბლოკი 4

დაპროექტებული ნაგებობა წარმოადგენს 2 სართულიან შენობას, აქედან პირველი სართული განკუთვნილია ავტოფარეხისათვის, ხოლო მეორე – კომერციული დანიშნულებისაა. ორივე სართული მოქცეულია მიწის ქვეშ

შენობის სართულშუა გადახურვები და კარკასი შესრულებულია რკინაბეტონით (ბეტონის მარკა **b25,** არმატურის კლასი **A500C**)

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. შენობის საძირკვლის ფუძეთ შერჩეულია არგელიტებისა და ქვიშა-ქვების მონაცვლეობა, რომლის საანგარიშო წინაღობა R_c**=197** კგ/სმ^2, დრეკადობის მოდული – **E=3719.5** მპა

აბსოლიტური ნიშნული **0.000=616.2** მ

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით ტერიტორიის სეისმურობად მიღებულია 7 ბალი.

კარკასის საძირკვლები წერტილოვანია.

პროექტის მიმართ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეთავაზებული იქნა ჩემს მიერ, სრულად გაზიარებულია ავტორის მიერ, რომელიც ასახულია მუშა დოკუმენტაციაში

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №4, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების, (ს/კ 404905910)(ბლოკი 1. და ბლოკი 4.) კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ.გეგეჭკორი

T: 555419508